

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

23 თებერვალი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: მამა ხაჭიაშვილი (თავმჯდომარე), იოსებ ბარათაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, იმედა დვალიძე, ქეთევან ბექაური, ბესო აბაშიძე, ცისმარი ონიანი, მამა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე

დღის წესრიგი:

1. გაწვევრიანება IBA -ში (ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია);
2. 2005-2006 წლებში ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის შემოტანილი პირადი საქმეების განადგურება ;
3. სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცესში ტესტების განახლება და 5000 ლარის (საშემოსავლოს გარეშე) გამოყოფა ახალი ტესტების (1000 ტესტი) შედგენისთვის;
4. ეთიკის კომისიის აპარატის საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ, “ეთიკის კომისიის კოორდინატორის” დასახელების შეცვლა “ეთიკის კომისიის იურისტით”;
5. ადვოკატის დღის დაწესების შესახებ მსჯელობა;
6. 2011 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის რეგისტრაციის და გამოცდების თარიღების თარიღის განსაზღვრა;
7. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებაში მონაწილეობისთვის საფასურის გაზრდა 100 ლარის ოდენობით;
8. ასოციაციაში გაწვევრიანება;
9. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების დებულებაში ცვლილების შეტანა, საკვალიფიკაციო კომისიის დებულების დამტკიცება;
10. განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის ამოქმედება 2011 წლის 1 მარტიდან და მიმდინარე წელს ადვოკატების მიერ გავლილი სემინარების სავალდებულო კვალიფიკაციის ამადლების სემინარების პროგრამულ საათებში ჩათვლა;

11. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივა: განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის შექმნის შესახებ:
 შეიქმნას კომისია 15 ადვოკატის შემადგენლობით. აღმ. საბჭოდან არჩეულ იქნას 3 წევრი, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი მდივანი და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი. 10 წევრის არჩევა მოხდეს კონკურსის საფუძველზე ან აღმასრულებელი საბჭოს მიერ შერჩეული წევრებისგან. შექმნილმა კომისიამ პირველივე სხდომაზე შეიმუშაოს დებულება და წარმოადგინოს აღმასრულებელ საბჭოზე დასამტკიცებლად.
12. სხვადასხვა (ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების განხილვა);

გ ა დ ა წ ყ დ ა :

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია” გაწევრიანდეს ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციაში (IBA);
2. ჩამოწერილ იქნას 2005-2006 წლებში ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის შემოტანილი პირადი საქმეები და შემდგომში აღნიშნული პროცედურა განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში.
3. სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცესში ტესტების განახლებისა და ახალი ტესტების (1000 ტესტი) შედგენისთვის ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 5000 (ხუთი ათასი ლარი საშემოსავლოს გარეშე). შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის ბიუჯეტში.
4. დამტკიცდეს ცვლილება ეთიკის კომისიის აპარატის საშტატო განრიგში კერძოდ, “ეთიკის კომისიის კოორდინატორის” დასახელება შეიცვალოს “ეთიკის კომისიის იურისტით”;
5. ადვოკატის დღედ დამტკიცდეს 8 ნოემბერი;
6. 2011 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის რეგისტრაციის თარიღებად დამტკიცდეს 2011 წლის 14- 25 მარტი. გამოცდების თარიღებად დამტკიცდეს 15, 16, 17 ივნისი;
7. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებაში მონაწილეობისთვის საფასურის რაოდენობა განისაზღვროს 100 ლარით;
8. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაზე წყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე.
9. დამტკიცდეს ცვლილება ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების დებულებაში. საკვალიფიკაციო კომისიის დებულება დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).
10. განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 1 ოქტომბერი ;
11. შეიქმნას განგრძობადი იურიდიული განათლების კომისია და დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით : ცისმარი ონიანი, ქეთევან ბექაური, იმედა დვალიძე, ზაზა ბიბილაშვილი, თინა ქარსელაძე, ინგა ნებიერიძე. კომისიის დანარჩენი 5 კანდიდატი (ირაკლი კორძაბია, ქეთევან ქვარცხავა, როინ მიგრიაული, მანანა კობახიძე, ირაკლი

ყანდაშვილი) დამტკიცდეს აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით. განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ზვიად კორძაძე.

12. ადვოკატებს ლევან მაისურაძეს და ირმა ქურხულიშვილს შეუწერდეთ ასოციაციის წევრობა პირადი განცხადების საფუძველზე.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე